

1925

1925



№

11-12

# საბჭოთა



ს ა ბ ლ ა ვ ი უ მ გ ა მ მ ა ტ ე მ ლ ო ბ ა .

## შინაარსი

1. მოწაფეთა ცხოვრებიდან — სურათი . . . . .	1
2. უნაძვოდ—ლექსი ი. გრიშაშვილისა . . . . .	2
3. აღამიანების აღარ ეშინიათ—კატო ბურ—ძისა . . . . .	3
4. წითელყელსახვევიანი ბიჭი . . . . .	7
5. შეწისქვილე—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . . . .	8
6. ხუთი პატარა ბავში—თარგმ. ნ—სი . . . . .	9
7. ბუტია მასწავლებელი—ცქვიტისა . . . . .	15
8. 1905 წელი—ხან—ინისა . . . . .	17
9. ბელურა—ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	20
10. შხეს დაეწიოთ—პიესა-ზღაპარი (დასასრული) თარგმანი . . . . .	21
11. ზამთარი—თარგმ. ნ—სი . . . . .	31
12. თოვლის ფიფქები—დ. კარბელისა . . . . .	35



Digitized by Google



წ. გე-XXI № 11—12. ნოემბერი—დეკემბერი 1925 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშ. ცენტრ. კომიტ. უფრნალი ზავშეებისათვის.



1905 წელი. მოსაზრება ცხოვრებიდან.

## უნაქვთღ

ჰე, ბაუშებო, აბა, ჩქარა,  
მოვიუბროთ უველამ თავი.  
როგორ ბრწყინავს ეს კედლები,  
სურათებით მონართავი!


გაუბკეთოთ წრე საჩქაროდ:  
რესო, ირბ, ნელლი, ცინო,  
დღეს ბაუშების დღეობაა—  
ვიმღეოთ და გავიცინოთ!

მართალია, ამ ოთახში  
მწვანე ნაძვი არ ანათებს—  
ეს მიტომ, რომ ჩვენ არ მივდევთ  
ძველ წესებს და ძველ ადათებს.

რათ მოვუხსნათ ნაძვს სიცოცხლე?  
რათ ვატიროთ, ნეტა, მწარედ?  
დე, იცოცხლოს ნაძვმა ტყეში,  
ჩვენ ისედაც გავინარებთ.

ი. გრიშაშვილი.





ახალი წელიწადი ახლოვდება. ეველა მზადებაშია, ფაცა-  
 ფუცში! ეველას უხარია. არ უხარიათ მსოლოდ ნაძუებს. მო-  
 უსვენრობა ეტეობათ, ოსრავენ, სტირიან. კარკად იციან ნაძუებ-  
 მა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოუსწობენ სიცოცხლეს,  
 მოაშორებენ ამ საუუარელ ტუეს და ათასი სიხილ-პიპილებით  
 მორთავენ.

— რად მინდა ის ბჭუვრიალა რაღაცები, რომელსაც ხედ  
 ჩამოკეიდებენ, — კენესის ძალალი ნაძვი და მწუსარე მკლაკები  
 მირს ჩამოუშვია. — მე თოფლი მირჩეენია.

— ითოვე, ითოვე! — ზუსუნებენ ნაძუები. — დაკეძალე, ხედ  
 კადაკეუფარე. არ კეინდა თბილი ოთახი. ჩვენ ეს დაბურული  
 ტუე ეველაფერს კვირჩეენია. — ტირიან ნაძუები, ტირიან და  
 თავებს მწუსარედ აქეთ-იქით აქნევენ.

თოვლი კი ბაშბის თეთრი ძაფებივით ჩამოდის ძირს, დაბლა და ასვევს შიგ ნაძვნარს.

— მე რაღა უნდა ვქნა, უთქვენოდ ხომ ვეღარ ვიცდოცხლებ, — ბუტბუტებს წუარო და ნაძვების ძირებს ეაღერსება.

— კაკ-კუკ! კაკ-კუკ! არც მე შემიძლია უთქვენოდ სიცოცხლე, არც მე, — ამბობს ხეკაკუნა და გამაღებელი, რაც ძალი და ღონე აქვს, უკაკუნებს ნისკარტს მოხუც ნაძვს. — ნუ გეძინია, მოხუცო! ამ ზატარა ჭია-მატლებს მე კაუშუკლაჯდები, სხვებისა კი რა მოგასხენო.



— ეჰ, ნეტავი როგორც მენ არაფერს კვიძავებ, ისე სხვებმაც არაფერი დაგვიძაონ, — გუნესის მოხუცი ნაძვი.

\*  
\*  
\*

გაიარა ორმა დღემ. ნაძვები ისევ კანკალებენ, ცხაცხახებენ, ეძინიან...

უკვე ახალი წელიწადია.

ნაძვეებს გზისკენ უჭირავსთ თვალი.

აგერ, შენიშნეს მათკენ მიმავალი გლეხი.

გლეხი თავისი შვილით ნათლიდედისაკენ მიეშურებოდა  
 ახალწლის მისალოცად.

ნაძვეები შეკრთენ, სმენად გადაიქცენ.

— მამა, რატომ წელს აღარ მოგჭყრით ნაძვეები? რა-  
 ტომ არ წავიღეთ ქალაქს გასაუიდად?—უკითხება ბიჭიკო მამას  
 და ათვალდურებს მორთოლუარე ნაძვეებს.

— იმიტომ, შვილო, რომ ახლა ნაძვეების მოჭრა აღარ  
 შეიძლება, აკრძალულია, — მიუგო მამამ. — აბა, აზრქარდეთ,  
 ზირველად ჩვენ მიუულოცოთ ნათლიას ახალი წელი.

და წავიდენ.

რამ? ახალი წელიწადიო? ნაძვეებს არა სჯერათ. ნუთუ  
 ისინიც ახალ წელიწადს მოესწრენ? რას ნიშნავს ეს? ნაძვეები  
 ერთ წუთს მთლად გაშეშდენ.

— მომილოცნია ახალი წელი! — ისმის მოხუცი ნაძვის  
 სმა: — ეს ზირველად გილოცავთ, შვილებო, ახალ წელს. აქამ-  
 დის, ახალი წელი სიკვდილი იყო ჩვენთვის.

— მოგვილოცნია! მოგვილოცნია, — გუგუნებენ ნაძვეები  
 და ერთმანეთს ესვებიან.

— მამ, ცრემლით კი არა, სიმღერით შევსვდეთ  
 ახალ წელიწადს! — ამბობს მოხუცი ნაძვი და მღერის:

სისარულით თავბრუ მესმის,

აღარ ვტირი მე;

წუაროვ, შენც ჩვენთან ილხინე,

შენი ჭირიძე!

მღერის მოხუცი ნაძვი, მღერის მთელი ტუე.

— გრრრრ! სსსს! — ისმის ამ ღროს სმა და გიჟიქი ქარი  
 ციბრუტივით ურბენს კარძემო.

უველა თამაშობს, უველა მკლავებს შლის: დიდი, ზატარა,  
 მოხუცი, ახალგაზრდა. ხან ერთს ეთამაშება ქარი, ხან მეორეს.  
 ცეკვავენ ნამევი, მკლავებს აქნევენ.



ახალგაზრდა ნამევი ჩახუტებია მოხუცს და სისხარულით  
 ტირის.

ნამევის ხეობა, გილოცავთ  
 თქვენ დღეგრძელობას ამიერ;  
 იმსიარულეთ, იცინეთ,  
 იცოცხლეთ მრავალ-ქამიერ!

ერთი კიდე დაიკუგუნა ქარმა და გაიქცა, რათა უველას  
 შეატეობინოს ეს სასინარულო ამბავი.

ნამეებს ახლა ადამიანების ადარ ემინიათ.





## წითელუელსახუვიანი ბიჭი

ქუჩაში სამი ჰატარა გოგონა მოდიოდა—სამი ჰატარა მეგობარი.

უცებ უკან ვიღაცას ფეხის სმა გაინმა—ვიღაც აჩქარებით მოდიოდა ბაკუნით და მოიძღვროდა.

ერთმა გოგონამ მოიხუდა და შეშინებულმა შეჭვვირა:

— ვაიმე, რაღა ვქნათ! ბიჭი მოდის, ხელებს აქნევს და სიძღვრას ღრიალებს, ახლავე დაგვეტაკება და ცემას დაგვიწყებს.

შეშინებული გოგონა გადასტა ქვაფენილიდან ქუჩაზე, მას მეორეც მიჭევა და ევირილი მორთეს.

— ვაი, ვაი, ვაი!

მესამე გოგონამ კი მოიხუდა უკან და გასძახა მეგობრებს:

— სად მივბისართ, რისი შეგეშინდათ?.. განა ვერ ხედავთ, რომ ბიჭს წითელი უელსახუვი აქვს!..

გოგონები დამშვიდდნ და გაუდგნ თავიანთ გ'სას.

წითელუელსახუვიანი ბიჭები, სომ იცით ჰიონერებია და რასაკვირველია, არაუის ცემას არ იკადრებენ.





## მეფისქვილე

დღე-ღა-ღამ უსივარ წისქვილში,  
მესმის ჩუენი რუს ჩსრიალი;  
ბორბლები ზროწიალობენ,  
გაბაქეთ ერთთავად კრიალი.

მათსე მსუბუქად თამაშობს,  
რაკრაკებს სარეკელაო;  
ხუიმირას ტანში აურყოლებს,  
ხორბალს ჰურის ნელა-ნელაო.

იფქვის და იფქვის... წსქვილში  
თეთრი ბუდი სდგას ფქვილისა!  
მინდი კროფდება ცოტ-ცოტა,—  
ძე შემცქერი ვარ იმისა.

დღესა და ღამეს ვასწორებ,  
მეირად დავსუჭავ თუელსაო;  
ცოლ-მუილსა ვაუებავ ამითა  
და კიდევ ვაძმევ ტანსაო.

დღე-ღა-ღამ უსივარ წისქვილში,  
მესმის ჩუენი რუს ჩსრიალი;  
ბორბლები ზროწიალობენ,  
გაბაქეთ ერთთავად კრიალი.

## სუთი ჰატარა ბავუი.



მე თქვენ გიამბობთ სუთი ჰატარა ბავუის ამბავს. ეს სუთი ბავუი დაიბადა სუთ სხვადასხვა ქვეყანაში და სრულიად არ ჰგავდენ ერთმანეთს.

პირველი ჰატარა ბავუი სრულიად უვითელი იყო, სწორედ უვითელი, და მის ჰაწია სახეზე ირიბად ჩასმული შავი თვალები გამოიყურებოდა. თმა შავი და მაგარი ჰქონდა. ტანზე სასაცილო ჰატარა აბრეშუმის ხალათი

და სასაცილო ჰატარა აბრეშუმის შარვალი ეცვა. ხალათიც და შარვალიც სულ უვაზილებით და სხვადასხვა ჰატარა ცხოველების სახეებით იყო ამოქარგული. როდესაც ბავუი იყურებოდა ირგვლივ, ხედავდა, რომ მის მამასაც და დედასაც ისეთივე უვითელი სახე და შავი თმა ჰქონდათ, როგორც თვითონ მას.

როდესაც ჰაწია წამოიზარდა, დაინახა, რომ მისი დედაც და მამაც ისეთსავე უცნაურ აბრეშუმის ხალათს და აბრეშუმის შარვალს ატარებენ, როგორც თვითონ — უვაზილებითა და სხვადასხვა ცხოველების სახეებით ამოქარგულს. მაგრამ ბევრად უფრო ადრე, სანამ ჰატარა ეველა ამას გაიგებდა, მან უკვე იცოდა, რომ მის დედილოს უუვარს თავისი ჰატარა უვითელი შავთვალა შვილიყო და შვილიყოსაც ძალიან უუვარდა, როდესაც დედა აიუვანდა ხელში და უძღერდა მას:

— ჩი სერ ცენ ჩინგ მინ! ძუნ სუნ  
 ჯი ჯი! ქუ ჯინ ფი მინ ქვეი  
 სუა ჩიანგ ლი ჰენ რენ ჯინ.

ფონ ჩინ ჯოა ორ. ლუ ჯი ტუ  
 ჩაო ჯიო ლიანგ სენგ ტანგ მინ!  
 დუ სუ სუ თვეი ჰენ. მიენ-მი!



ვევლადფერი ეს მოხდა  
 ჩინეთში და ჰატარა ბავშიც  
 ჩინელი ჰატარა ბავში იუო.

მეორე ჰატარა ბავში  
 კი სრულიად მისაკისფერი  
 იუო. დიად, სწორედ მისა-  
 კისფერი. თვალეები ჰქონდა  
 შავი და თბაც შავი. ტანზე  
 აბრეშუმის შალს ახურავდენ  
 და აბრეშუმის კაბას აცმევდენ.  
 როდესაც ირგვლივ იუურე-  
 ბოდა, ხედავდა, რომ მისი  
 მამის სახეც მისაკისფერი  
 იუო და თავზე დიდი დოლ-  
 ბანდი ჰქონდა დახეუული.

ხედავდა, რომ მისი დედის სახეც გარს რბილი, კრძელი თმა  
 ეკლებოდა. ბავში ხედავდა, რომ დედაც ლამაზ აბრეშუმის შალს,  
 კრძელ აბრეშუმის შარვალს ატარებდა და ფესშიშველა დადიოდა.  
 მაგრამ ჰაწია სრულიადაც არა ფიქრობდა, რომ ეს სასა-  
 ცილოდ მოსწვენებოდა ჯისმე, მაშინაც კი არ ფიქრობდა ამას,  
 როდესაც დიდი გაიზარდა. ის დარწმუნებული იუო, რომ ვე-  
 ლას მისაკისფერი კანი აქუს და რომ ვევლას ისეთი ტანი-  
 სამოსი აცვია, როგორც თვითონ მას და მის დედას და მამას.

მაგრამ ბევრად უფრო ადრე, სანამ იმოღვანელებოდნენ, რომ ეველა ამას გაიგებდა, მან უკვე იცოდა, რომ დედის უფარს თავის ჰატარა მიხაკისფერი მხეთვალა შვილი-კო, და მასაც უფარდა, როდესაც დედილო აიუვანდა ხელში და უძღვრდა:

არიკოკო, ჯარკოკო, ჯენგლი ჰარკი ბარ,  
 მარბატა, კინე-კამენგა, დუმრიკარტო სარ,  
 ხალლი, მილი, ჰენიკ ჯარა დი ხადდეს,  
 არიკოკო, ჯარკოკო, ჯენგლი ჰარკი ბარ.



ეველაფერი ეს იყო ინდო-ეთში, და ჰაწია ბავშიც ინდო-ელი ბავში იყო.

მესამე ჰაწია ბავში სრუ-ლიად შავი იყო. დიად, სრუ-ლიად შავი. თვალებიც შავი ჰქონდა და შავი ხუჭუჭა თმა სასაცილო ჰაწია ზილფებად ჰქონდა შესუნსლული თავზე. ამ ჰაწია ბავშს ტანზე არაფერი არ

უცვა, გარდა ფართე სარტელისა. როდესაც ირგულივ იუურე-ბოდა, ხედავდა თავისი დედ-მამის შავ სახეებს და სასაცილო თმახუჭუჭა თავებს. როდესაც ბავში გაიზარდა, დაინახა, რომ ისინი მხოლოდ სარტელს, წელქვედა მოკლე კაბას და ხამანწკის ეელსაბამს ატარებენ და სხვას არაფერს. მაგრამ ჰაწია როდი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია ეს სასაცილოდ მოეჩვენოს ვისმე. მაშინაც კი არ ფიქრობდა ამას, როდესაც დიდი გაიზარდა. ის დარწმუნებული იყო, რომ მთელ ქვეყნიერე-ბაზე ეველა ხალსი ასე იმოსებოდა.

მაგრამ ბევრად უფრო ადრე, სანამ ჰაწია იმდენად ვაწარმოებოდა, რომ უველა ამას გაიკებდა, მან უკვე იცოდა, რომ დედან უვეარს მისი ჰაწია შავი, შავთვალა და სასაცილო თმა-სუჭუჭა შეილიყო, და მასაც უვეარდა, როდესაც დედა აიკვანდა ხელში და უძღვრდა მას:

ო თულა, მითვანა. ო თულა,  
უნოკა, აკაბუკო,  
უსილი, ესინტაბენი  
ულუ. შვა ისიკვეჩე  
ივა.

ო თულა, მითვანა. ო თულა,  
უნოკა ვ-მინძობუია,  
აკუშაბტელე, ინტო ეფსლი  
ივა.

უველა ეს იყო აფრიკაში, და ეს ჰატარა ბავშიც სანგის ბავში იყო.



მეორე ჰატარა ბავში—ეს უკვე მეოთხე—სრულიად წითელი იყო. დიად, სწორედ წითელი. თვალები ჰქონდა შავი, თმა კი სწორი და შავი. ჰაწია მაგრად იყო ატახებში გაკრული და დედა კალათით სურგზე მოკიდებულს ატარებდა მას. ბავში როდი ფიქრობდა, რომ ეს სასაცილოდ მოსწვენებოდა

ვისმე, მაშინაც კი არ ფიქრობდა ამას, როდესაც დიდი გაიზარდა. ის დარწმუნებული იყო, რომ უველა ჰაწია ბავშებს ასე ატარებენ—კალათით სურგზე მოკიდებულს—რომ უველა დედებს და მამებს წითელი კანი და შავი თმა აქვთ და ეკონა, რომ უველა ტვაჯის ტანისამოსს და ფრინველების ფრთებით მორთულ შარვლებს ატარებს, რადგან სწორედ ასე იმოსებოდნენ მისი მშობლები.

მაგრამ ბევრად უფრო ადრე, სანამ ბავშვი იმხელა განსტეგებულა და, რომ ვეღარ ამის გაკება შესძლებოდა, უკვე იცოდა, რომ დედისთვის უკვარს თავისი პაწია წითელი შვილიყო, რომელსაც ზურკით ატარებს და მასაც უკვარდა, როდესაც დედა ამოიყვანდა კალათა-აკენიდან, არწევდა ხელზე და უძღეროდა:

ხედა ი—ი!

ნაკახუ-კალუ

ნაკახუ-კალუ!

ბი-ბი!

ბი-ბი.

ი, ბი-ბი!

ვეღარ ეს იყო ამერიკაში დიდი, დიდი ხნის წინად და ეს ბავშვი იყო წითელკანიანთა წითელი ბავშვი.

მეხუთე ბავშვი კი სუძობად თეთრი იყო. დიად, სუძობად თეთრი! თვალები ჭკონდა ლურჯი და თმა ოქროსფერი. და სწორედ ისეთი სანახაობა ჭკონდა, როგორც ვეღარ იმ ბავშვებს, რომლებსაც თქვენ იცნობთ. ბავშვი მშვენიერ თეთრ კაბას და ღილებიან ფეხსაცმელს ატარებდა. და როდესაც ირგვლივ იუურებოდა, თავისი ძამის თეთრ კანს და დედის ლურჯ თვალებს ხედავდა. როდესაც პატარა წამოიზარდა, დაინახა, რანაირ ტანსაცმელს ატარებდნენ მისი მშობლები, მაგრამ ამ ამბავში არ არის ნათქვამი, რანაირს ატარებდნენ.



როდესაც პატარა ბავშვი დიდი გაიზარდა, დაინახა, რომ ისინი ცხოვრობენ დიდ, ჭუჭყიან და ახმაურებულ ქალაქში, მაგრამ ამ ამბავში არ არის ნათქვამი, რომელ სახლში ცხოვ-

რობდენ. ამ ამბავში არც ის არის ნათქვამი, ვხვენებოდნა თუ არა ეს სასაცილოდ ბავშს, როდესაც ჰატარა იყო, ან მაშინ, როდესაც წამოიზარდა. უთუოდ, იმიტომ არ არის ნათქვამი, რომ ეს თქვენ თვითონაც კარგად იცით, მაგრამ ამ ამბავში ნათქვამია, რომ ბავშმა, ბევრად უფრო ადრე, სანამ იმოდენა გაიზრდებოდა, რომ უკვლა ამას გაიკებდა, უკვე იცოდა, რომ დედის უკვარს თავისი ჰაწია, თეთრი, ლურჯთვალა და ოქროსფერშიანი შვილიყო.

და ამ ამბავში ნათქვამია ისიც, რომ ბავშვსაც უკვარდა, როდესაც დედა აიუჯანდა მას ხელში, არწევდა და ნელი სმით უძღერდა ამ სიმღერას:

დედის ნანინას, ჩემო შვილო, დაუკდე უური.

დედის ხელები, — ჩემი მტკიცე, ნაზი ხელები, —

კეკუთუნის ჩემს შვილს.

ო, უკვლა დედას, შვილო ჩემო, უვითელსაც, შავსაც,

მისაკისფერსაც და თვით წითელკანიანსაც კი,

უკვარს თვის შვილი ისე, როგორც

მე შენ მიუვარხარ —

ჩემო ლურჯთვალავ,

ჩემო შვილო,

ჩემო ჰაწია თეთრო ვარდო!

მე მიუვარს შენი ოქროსფერი ჰატარა თავი,

მიუვარს მე შენი ჰაწაწინა

ხელი და ფეხი,

მიუვარხარ აკრე, როგორიც ხარ. მთლიანად, კარგო,

გმღერი და შენი სიუვარული

მაძღერებს მუდამ.

იცოდე, როცა ამ ხელებით მე გულში გიკრავ,

ჩემი ხელები შენ კეკუთუნის, შენ, ჩემო შვილო!



## გუტია მასწავლებელი.



შალიკომ ეზოში ორი სკამი გამოიტანა, თავისი პატარა და ერთერთ სკამზე ჩამოასკუბა.

მეორე სკამზე ქაღალდის ნაფხრეწები გადაშალა და ეუბნებდა:

— შენ მოწაფე იყავი და მე კი მასწავლებელი.

აბა, წაიკითხე აქ რა სწერია... უუურე, უუურე!!

— რა სწერია და დედა რომ ბასარში წავა, მე ვაძლებს მომიტანს.

— აი, ამაზე რაღა სწერია?

— მერე იმ ვაძლებს სულ მე ჩავიდებ ჯიბეში და უბესაც გავივსებ.

— ჰო, შენი თავის მზემ, შენ ჩაიწუობ, დიას. მე, მე კი არ მინდა? — გულმოსულად ეუბნება მასწავლებელი.

— შენ რომ წუსელის კეძინა, მამამ ეურძენი მოიტანა, მე ბევრი ვჭამე, ძლიერ ბევრი და შენი წილი რომ შეინახეს, ისიც ჩუმად მოვიპარე და შევჭამე. ვაძლებსაც დედა სულ მე მომიცემს...

— ჰო, დიას; შენ ვინ აგდისარ? აბა, კიდევ სელი გინდია, ისეთი ჩაკცხო, რომ...

აქ მასწავლებელმა თავის მოწაფეს კაი მუშტი მოუტყობინა.

მოწაფემ იუკადრინა, მუბლი შეიჭმუნა და ტუნებამრესილმა ჯიბრით უწასუსა:



- შენ რომ ქუნაში დარბინარ, დედა შევოველთვის ან ბუბლიკს მიუიღის სოლმე, ან მსხალსა, და შენ კი ვერე კდინარ.

მასწავლებელმა ქალაღდების ნაფსრეწები გავჯარებით წამოკრიფა, გივის ერთი კაი მუჯლეუკუნი უთავაზა და დიდად ამსედრებული დედისაკენ მუქარით გაექანა.



გივიმ ზირი დაალო, დიდი სმით დაიდრიალა და თან კარებისაკენ ჰქეცა დაიწყო:

მან კარგად იცოდა, რომ სსსადილო კარბადაში ერთი დიდი მსხალი კიდევ იყო შენასული და იმისი გამოცინცლის საბუთიც

იპოვნა. როგორც ჰატარას, დედა უწინ იმას მიეფერებოდა, მერე ჩუმად იმ მსხალსაც შესთავაზებდა და იმისი მოჩხუბარი მასწავლებელი კი ისევ ხასამპრალი დარჩებოდა.



## 1905 წელი.

უკვე შესრულდა 1925 წელი. ოცი წლის წინეთ—  
1905 წელს—რუსეთში და ჩვენში, საქართველოში, დიდი  
ამბები მოხდა. მაშინ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო,  
რუსეთის სამეფოს ექვემდებარებოდა. მუშები და კლესები აუ-  
ჯანუდენ მეფე ნიკოლოზის მთავრობას, რევოლუცია მოახდი-  
ნეს; უნდოდათ, ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოეკდოთ და მუშურ-  
კლესური მთავრობა დაეწესებიათ.

თქვენთაგანი, ბავშვებო, მაშინ არც ერთი არ იყო დაბა-  
დებული. იბრძოდენ თქვენი მამები, დედები, ძმები და დები  
რომ ჰკითხოთ, უკვლავ მათგანი ვინაშობსთ 1905 წლის რევო-  
ლუციასე, მაგრამ მეც მინდა ვინაშობთ.

ნიკოლოზის მთავრობა ძლიერ ავიწროებდა, სტანჯავდა  
მუშებსა და კლესებს, სოლო მდიდრებს-ბურჟუებს, თავად-ახსა-  
ურებს და სამღვდლოებსა მხარს უჭერდა, ექომაკებოდა.

საძინელ ჰირობებში ცხოვრობდენ მუშები და კლესები.  
ქალაქში მუშებს სწავდასწავა ფაბრიკა-ქარსხეობში და სახელოს-  
ნოებში ამუშაუებდენ დიდიდან-საღამომდე და ღამითაც; არ იყო

ეროვნული  
კვლევის

რვა საათის საშუალო დღე; ხელფასს მცირეს აძლევდნენ—მდიდრები—ფაბრიკა-ქარსების ხატრონები; თითქმის ჰურის ფასადაც არ ჰყოფნიდათ მათ ეს ჯამბავი.

სანამ მუშაობდა მუშა ლუკმაშურის ფასსაც იღებდა, როცა მოხუცდებოდა, ან ავად განდებოდა და მუშაობას ვეღარ შესძლებდა, უვარკის ნივთსავით გამოისროდნენ ქუჩაში. ამ შემთხვევაში მუშა და მისი ცოლ-მვილი საშინელ მდგომარეობაში ვარდებოდნენ, მიძძილით იხსცებოდნენ.

მუშებს არ ჰქონდათ უფლება შეკავშირების, სიტყვის თავისუფლების, არაუკნ ზრუნავდა მათ დასდევდას, საექიმო დასამარებაზე მოხუცებისა და დაავადებულების დროს.

არც კლესები იუვენს უკეთეს მდგომარეობაში; მათ არ ჰქონდათ მიწა, რომ დაეშუშაჰებიათ და საკმაო ჭირნახული მოეუგანათ. მიწა თავადებს ეკუთვნოდა. ისინი კლესებს აშუშავებდნენ თავიანთ მიწაზე. კლესები წელესზე ფესს იდგამდნენ, დღესა და დამეს ასწორებდნენ, მაგრამ საკმაო ჭირნახული მანც არ ჰქონდათ, რადგანაც ნახევარი მათი მოწეული ჭირნახულისა მიჰქონდა ბატონს, სოკი მღვდელს, სოკი ბერს და სოკიც ჩარჩებს, კლესი კი მძიერ-მწეურვალს რჩებოდა; სხვებს არჩენდა, თვითონ კი მძიერ-მწეურვალს სული ესუთებოდა.

ვეღარ გაუძლეს მუშებმა და კლესებმა აძლენ განსაჭირის, მათმინების ფიალა აქვსოთ და, აი, ამიტომ, 1905 წელს რუსეთში და ჩვენში მოახდინეს რეკოლუცია.

მუშები მოითხოვდნენ რვა საათის საშუალო დღეს, კარგ ხელფასს, ფაბრიკა-ქარსების მათ ხელში გადასვლას, სიტყვის, კრების თავისუფლებას; კლესები—მიწას.

ამ მიზნით მოსდა აჯანყება ნიკოლოზის ეგვლა სამფლობელოში. მაგრამ მუშები და კლესები მალე დაამარცხა ნიკოლოზის მთაურობამ, რადგანაც ისინი ვერ იუვენს შეკავშირებული, როგორც საჭირო იყო, ვერ იუვენს მოძსადებული



რევოლუციისათვის. ნიკოლოზს უფრო მეტი ძალა აღმოაჩნდა მასინ, ვიდრე მუშებს და კლეხებს: ნიკოლოზის მხარეს იყო შეიარაღებული ჯარი და სარბაზნები. ამიტომ დამარცხდნენ მუშები და კლეხები.

ამ დამარცხებას მოჰყვა მეფის მთავრობის სასტიკი შურისძიება. მრავალი მუშა და კლეხი დახვრიტეს, ზოგნი ციხეებში გამოასრჩეს, ზოგნიც ცივ ქუეხებში გადაასახლეს.


მაგრამ მუშებს და კლეხებს გული არ გასტყვიათ, ამ დამარცხებამ მათ ბევრი გამოცდილება შესძინა. ისინი უფრო შეკავშირდნენ, გათვითცნობიერდნენ, დაირბინეს ფართო მუშურ და კლეხურ ორგანიზაციებში და უცდიდნენ ხელსაყრელ დროს, რომ მეფის ტახტზე იერიში მიეტანათ.


აი, დადგა ასეთი დროც—1917 წელი. მოხდა თებერვლის რევოლუცია, რომელსაც ბევრი თქვენთაგანიც მოესწრო, და ნიკოლოზის მთავრობა დაამხეს. მის ნაცვლად დღეს, აი, რას ვხედავთ: მუშურ-კლეხური მთავრობა განაკებს ჩვენ ქუეხანს.

და თუ დღეს ჩვენში აღარ არის მეფის მთავრობის ზარზაში, მუშებისა და კლეხების შევიწროება, ეს, უმაწვილებო, 1905 წელს მომხდარი რევოლუციის წვალობითაა. მართალია, მასინ ეს რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ამ დამარცხებამ მუშები გამოაფხიზლა, შეაკავშირა, ასწავლა, თუ როგორ ებრძოლათ ნამდვილი გამარჯვებისთვის და 1917 წლის რევოლუციამდე მოიყვანა.

1917 წლის რევოლუცია 1905 წლის რევოლუციის დაგვირგვინებაა.

სან—ინი.





## ბილუსა

გამუდმებით აქა ვარ,  
არასდროს არ გმორდებით;  
მეც ის დარდი მაწუსებს,  
რითაც თქვენა ღონდებით!

სამთარია, უბერავს,  
ძიძილით ვიკვინდები;  
თუ გამიღებთ კარებსა,  
თქვენთან შემოჰფრინდები.

და თუ არა, ბაღლებო,  
მით მაინც გამახარეთ:  
გამოაღეთ სარკმელი,  
საკენკი დამიუარეთ.

შიო მღვიმელი.

# მზის ღავეფით.

(დასასრული).

## მოკმელება მეოთხე.

მატარა მინდორი ტყეში, როგორც ამ ზღაპრის დასაწყისში. დამეა. მთვარის შერთაღი სინათლე. ბებერი ფიჭვი უკვე წაქცეულა. მეორე ფიჭვი დასწყობილა. ბებერი კუნძი ისევ ისეა და შერთაღად ანათებს. ახალგაზრდა სოკოს ადგილას ისევ ისეთი სოკოა, მაგრამ უფრო დიდი. ხის ტოტზე ბუ ზის. ტყის შანა ზის წაქცეულ ფიჭვზე და თავის კოყრთან კომბაღს ჯერდნობა. კუნძთან შორაასღოს ძვეს დაგროვილი ფინხი.

**ტყის პაპა.** ხაფხული კიდეც მიდის... (ბუს) რაო, მეგობარო, ბებერი ბაიყუშო?

**ბუ.** (თვალებს ანათებს). წა-ვი-და.. პო-პო-პო-პო-ო!..

**ტყის პაპა.** მზეც ცივდება... მიდის ლამაზი შორი ქვეყნისაკენ. ეეჰ, დრო, დრო! ჩემი საყვარელი ფიჭვი წაიქცა... (ურაკუნებს კომბაღს ფიჭვს) ბებერი დათვი ბუნაგში შეიმწყვდიეს და... მოჰკლეს... კარგი დათვი იყო. წერილმანი-ლა დარჩა. მთის კალთებზე ტყე გაკაფეს... წეროებიც ზღვის გაღმიდან ნაკლები მოფრინდენ...

**ბუ.** უ-უჰ, ხო-ხო-ხო-ხო-ხო-ო...

(ჭაობის ალება შექობიან და საღაშს ახლევენ).

**ჭაობის ალები.** დიდებულო ტყის პაპა, უკანასკნელი ყვაილები მოდიან დასამშვიდებლად, მინდვრის გვირილა და სხვები.

**ტყის პაპა.** მოვიდენ.

(შემოდან გვირავა და შემოდგომის რამდენიმე ყვაილი. ტყის შანას თავს უკრავს ხუმად).

**ტყის პაპა.** უკანასკნელი ყვაილები... გვირილა ტკნება, ფითრდება... არა უშავს, წადით... დაიძინეთ გაზაფხულამდე. (ყვაილები შიდას და განზე დგობიან).

**ახალი წყვილი ალები.** დიდებულო ტყის პაპა, შემოდგომისაგან საღამო მოგიტანეს წითელმა კოწახურმა და ალისფერმა კუნელმა.



**ტყის პაპა.** მოიყვანეთ. მე შემოდგომას დიდ პატყეს ვცემ. მისი მტკიცე ბარია ჩემი მოხუცებულობის.

(შემოდინ კოწახურა და კუნელი და სალამს აძღვევენ).

**კოწახური.** სალამს გიძღვნიტ შემოდგომა. ჩვენ გვაკოცა შემოდგომამ და გვიბრძანა, ეს კოცნა გადმოგცეთ თქვენ (შიწვევენ საკონკრეტოდ).

**ტყის პაპა.** მომიახლოვდით, ლამაზებო (ჭკონას). მადლობელი ვარ მშვენიერო, ყირმიზა გოგონებო. თქვენში მზის სიცხოველეც არის და შემოდგომის მშვენიერი თვალებიც. სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი ცქერა. დარჩით აქ. ჯერ ადრეა თქვენთვის ძილი.

(კოწახური და კუნელი დგებიან ტყის მანას გვერდით აქეთ-იქით).

**ბაყაყი.** (ხის ძრას ქვეშაიდან) ყი-ყი.

**ტყ. პაპა.** ვინ წრიბინებს?

(შირბიან ჭაობის ადები და ანათებენ ბაყაყს).

**ჭაობის ალები.** ბაყაყი ფუსფუსობს აქ ძირების ქვეშ.

**ბაყაყი.** ეს მე ვარ, პაპა, მე, ბაყაყი. ყიყინი მომენატრა ცოტათი. ძალიან მომწყინდა აქ, სოროში...

**ტყ. პაპა.** მერე რა, იყიყინე, იყიყინე, ჩემო კარგო...

**ბაყაყი.** თქვენ ხელს არ შეგიშლით. მე ჩემთვის ვიყიყინებ ცოტას...  
ჰი, ყი...

**ჭაობის ალები.** დიდებულო ტყის პაპა, ოთხი ობობა მოვიდა, შემოდგომით რომ დაფრინავენ მინდვრებში. თხოულობენ, ნებას მოგვცემ თუ არა საზამთროდ ბუჩქებს უკან მივეკრათ, ქარს დავემალოთ.

**ტყ. პაპა.** შემოფრინდენ, შემოფრინდენ. თუცა გაბებრება კი იციან, მაგრამ უარს როგორ ვეტყვი. ასკილს უთხარით, უთხარით აგრეთვე ტყის ქოლოს, რომ ქსოვილი ეკლებით არ დაუხიონ....

(შემოფრინალებიან ობობები, ტრიალებენ და ეღებიან ძაფე-ით ქვეაფერს).

**ტყ. პაპა.** დაიცათ, თქვე ბზრიალებო, აქ ყანები როდია, აქ ვერაფერს ვებდავ ისეთს...

(ობობები წყრდებიან და შიდაინ. ნელ-ნელა იწყებებიან ქსელებით. ისმის ტკაცანი და ჭრეჭინი).

**ტყ. პაპა.** (დააუყრებს) ა-პა.. აი, ისინიც. მოდიან ყოჩალი ბიჭები.

**ჭაობის ალები.** (შემოშობიან) მინდვრებიდან კრიჭინები მოვიდენ. ნება მიეცით, გამოგეთხოვონ მუსიკით.

**ტყ. პაპა.** მოვიდენ.





(ჭრაჭინების მუსიკა. შემოდან ჭიჭინობელის სარდლობით. დამიანი ჭიჭინობელი ფიჭვის ხემისს ქნევით მოუძღვება წინ. რამოდენიმეჯერ გაიფლ-გამოიფლიან მწეობრად და კოხტად. ბებური კუნძი ახატებს, ბუ უჯრო და უჯროს გამოცოცხლებული თვალებს აკიაფებს. თვითონ ტუის ზაზა სწორდება წელში).

**ჭრიჭინების ხორო.** ჩვენ ვართ ყოჩალი ბიჭები,  
მწვანე მინდვრის ჭრიჭინები.

(უნდა გადაიარონ სოკოს თავზე).

**ტყის პაპა.** გაუფრთხილდით, სოკოებია.

**ჭრიჭინები.** ჭრი-ჭი, ჭრიჭი-ჭრი-ჭი,-ჭრი-ჭი.  
ოჰ, გაგვებარა ზაფხული,  
ავგიცივლა, ვაი, ვაი, ვაი.  
გვირჩიე რამ, ჩვენო პაპა,  
თორე ცივა, ვაი, ვაი, ვაი.

**ჭიჭინობელი.** რა-ა-ზ-მო... სდექ.

**ბაყაყი.** (თათუოთ ტაშს უკრავს). ყი-ყი-ყი-ყი-ყი-ყი-ყი.

**ჭიჭინობელი.** დიდებულო ტყის პაპა, თავშესაფარს გთხოვთ!

**ტყის პაპა.** ძველი კუნძების ყველა ნასკდომი მიჩუქებია თქვენთვის.  
ყველასათვის მიბოძებია სახლები.

**ჭიჭინობელი.** (ხემისს ქნევით) აბა, სამადლობელი, ყმაწვილებო!

**ჭრიჭინების ხორო.** პაპავ, ჩვენთვის ზრუნვისათვის  
დიდ მადლობას მოგახსენებთ.  
ახლა კი დავისვენებთ.

**ჭიჭინობელი.** (ხემისს აქნევს) ჰეი, რაზმო,  
ერთად ყველაში!

**ჭრიჭინები.** მადლობას მოგახსენებთ.

**პაპის ალები.** უკანასკნელი სოკოები მოვიდენ გამოსამშვიდობებ-  
ლად: წითელი ბუზიჭერია და გულდაფშუტა მტვერიანი.

**ტყის პაპა.** შემოიყვანეთ. გულდაფშუტას უთხარით, ნუ ამტვერებს  
(შემოდან მსხვილი წითელი ბუზიჭერა და მსხვილი გულდაფშუტა, მტვერის  
მფრქვეველი).

**ბუზიჭერია.** (ბავბავით). მე ვარ ბუზიჭერია...  
სიცოცხლე აღარ მქირია...

**გულდაფშუტა.** (ხტუნვით მტვერს ახწევს) მე ვარ გულდაფშუტა მტვერ-  
მტვერ-მტვერ-მტვერ-მტვერიანი. გვინდა გითხრათ... მშვიდობით.

(უგელას ცხვირს აცემინებს შტერასაცან).

**ტუის პაპა.** (ცხვირს აცემინებს) შადლობელი ვარ...ა...ჩბი... ჰეი, ფინხო, დაგავე აქაურობა.

(დაგრძელები ფინხი, რომელიც იჭვე ხსლოს იყო, ნელა დგება და ჭკვის შტერას წვრილი ბოლოებით).

**ბუზიკერია.** (სოკოს) გამარჯობა, თეთრო სოკო.

**თეთრ. სოკო.** (კანკალით) მე თქვენ ვერ გიცნობთ... ღრრრ-ღრრრ-გუდაფშუტა. (ხტუნვით) გამარჯობა.

(თეთრ სოკოს შუაგულს და წაქცევა კვნესით).

**ტყ. მეფე.** (ემუქრება გუდაფშუტას) პასუხს მოვითხოვ.

**კაობის ალები.** პეველებსიგან საპატრო ელჩები: კომბოსტოს პეველა და შემოდგომის ამირბარი.

**ტყ. პაპა.** შემოფრინდენ. (შემოფრინდებაან ზეშულება) აჰა, იი, ისინი...

**ალები.** მერცხალი-ლაშა და მოლაღური-ბიკოგოგია. (შეშოდაან თუ არა, სალამის მიცემასაც ვერ ასწრებენ, რომ შეშოდის ალების ახალი წველა და ამბობს). კალია მოფრინდა.

**ტყ. პაპა.** ამნაირი ფრინველი არ არის. მაგრამ არა უშავს, იყოს ჩიტო. რათ არ მოდის, ნეტა, გვრიტი?

**მერცხალი.** მშვიდობით, პაპა. ამ წუთში მიფრინავთ ზღვის გაღმა.

**კალია.** ტშრ... ტშრ... ტშრ... ტშრ... ვიკჭირები იქით-აქეთ, მაგრამ ვერ ვხედავ საჩემო ბინას.

**ტყ. პაპა.** განა აღგილი ცოტა არის? შეძვერი სადმე ფულუროში და ზამთარსაც გაატარებ.

**კალია.** (ანწვეტინებს და ჩქარ-ჩქარა) დიაღ, გავატარებ—აღვილი სათქმელია, მაგრამ ზამთარში ხომ მომელის შიმშილი...

**ტყ. პაპა.** არა უშავს, როგორმე გადაგარჩენთ შიმშილს, ამისთანა ჩიტს...

(კალია ხტუნვით და ჭიჭინობლებაში ბიძკით შადის და დგება ბებერ კუნძუზე).

**ბებერი კუნძი.** (განათლება გაჯავრებული) რა უზრდელიაა. მე მეძინება.

**ტყ. პაპა.** ყველანი მოვიდენ. მაგრამ ვერ ვხედავ გედებს, მე ვერ ვხედავ ბატებს, წეროებს.

**ალები.** (უთითებენ ცისაკენ) ნება გვიბოძეთ მოგახსენოთ... ცივ ცის სივრცეში ვაკომულა გედთა მწყრივები.

(ტყის ხმა და ვეგეტაცია, ვინც მინდობდა, იუბილური ტყის ხმა. ისმის ვერცხლავით წერადა სხვა).

**ალევი.** სამი წერო გამოცხადდა... ხელო მიფრინავენ...

(შეშინებულ მამა-წერო, დედა-წერო, პატარა წერო. დანახ მწვენივით)

**წერო.** (მწუხარად) მშვიდობით, ჩვენო საყვარელო პაპა, დიდებული ტყის პაპა. ხელო მზისკენ მიფრინავთ.

**ტყ. პაპა.** ვისურვებთ მშვიდობით მგზავრობას... რატომ ხართ ასე შეწუხებული?

**დედა-წერო.** ვაგი დავკარგეთ, ყურლი-ყურლი.

**პატარა წერო.** და მე... ძმა-წერო... ყურლი-ყურლი...

**ტყის პაპა.** პაპა, დავკარგეთ? როგორ, როდის?

(დაუყრდნობა კომპლექსი. ვეგეტაცია მიუხედავად და უკან უკავებენ).

**მამა-წერო.** (მწუხარად) ამ ერთი წლის წინად, მზისკენ გაფრინდით... ყურლი-ყურლი... უკვე ცა ნათლებოდა, უკვე განთიადი გვიცქეროდა თვალეში... გაფრინდა თოფი... შვილი ჩვენი, ჩვენი საყვარელი ჩამოფრინდა და... მოკვდა... ყურლი-ყურლი... მის შემდეგ ჩვენ მზეც არ გვახარებს... სიცოცხლე გვიმძიმს...

**ტყის პაპა.** პო-ო... რალც მახსოვს. ახლავე ვკითხავ. ჰეი, თქვენ, ვინ იცის ახალგაზრდა წეროს შესახებ! ტყის ფრთოსნებო, თქვენ, ჰეი, კინობლებო,

**კინობლები.** არაფერი ვიცით.

**ტყის პაპა.** სოკობო, თქვენ, ობობებო, რაო? არავინ იცის? შენ, ჰეი, ბებერო კუნძო, არაფერი გაგიგია დავკარგული ყურებით?

**ბებერი კუნძი.** (განათებას) არა მსმენია რა... ბუმ იცის...

**ტყის პაპა.** ახლა ვკითხავ ჩვენ მრჩეველს. ჩემო ძველო მეგობარო! გადაფურცლე წიგნი ცხოვრებისა, ვკითხარი, რა გაქვს ჩაწერილი კლანტებით მუხებსა და ბებერ ნაძებზე.

**ბუ.** (განათებას თვალეში) ბუ-ბუ-უ. მოვიფიქრებ... ოხო-ხო-ხო-ხო-ო.

**პატარა წერო.** დაილუბა ჩემი ძმა.

**ბუ.** ჩემად იყავ. (ფაქრობს თვალეში წანწკურით) ახალგაზრდა წერო... ნახა ტყის მკვლელობა... და მიიყვანა სასახლეში... ო-ხო-ხო-ხო-ხო-ო...

**დედა-წერო.** დაილუბა, აღარ დაბრუნდება.

**ბუ.** ჩემად იყავ, დაწყნარდი... მე... ყურს დავუგდებ... (საჩუქარ. თრთვალი შტოზე ხან ანთება, ხან ქრება).

**ტყის პაპა.** რა გესმის, ბრძენო, ბრძენო ბაიყუშო?

**ბუ.** (ეურს უგაგებს)იქ, შორს... წვიმა მოდის... ძალღი ჰყფეს... სარაკუნა არღევეს ღამის სიჩუმეს...

**ბაყაყი.** ყი-ყი-ყი-ყი... მე არაფერი არ მესმის.

**კალია.** (ხტუნაობით) არც მე, არც მე, არც მე...

**ტყის პაპა.** ახლა რა გესმის.

**ბუ.** ყვაეის ჩხაეიღი... სუთ... ფანჯარაზე ჩახუნღი... წეროს მხიარული ძახიღი.

**მამა-წერო.** ჩემი შვიღი. წეროს ძახიღი!!

**ბუ.** ჩუმად... იყავიღ. ფრთების შრიღი მესმის... იძახის.

**ტყის პაპა.** რომელია? ახლგაზრდა წეროა?

**ბუ.** ო-ხო-ხო-ხო-ო... ყვირის... გზა დაებნა...

**მამა-წერო.** გზა დაებნა. გავფრინღეთ ჩქარა, მივბღლოთ.

**ტყის პაპა.** დაიკათ. მერცხალი ქარზე უმალესად იპოვის მას და გზას იღვენებს ჩვენსკენ.

**მერცხალი.** მზად ვარ, სიღთ გავფრინღდე, მიბრძინღე...

**ბუ.** იქ. საღაც ტყე იწოღა, შორს ჰპობისაკენ...

**მერცხალი.** დიახ, ვიცი (შიფრანაყს).

**ტყის პაპა.** უსათუღდ იპოვის (წეროებს). დაივიწყღეთ ღარღი და მწუხარება. თქვენი შვიღი ახლავ დაგიბრუნღდებაღ.

**მამა-წერო.** მაღლობელი ვართ, პაპა. არასოღდეს არ დაივიწყღებღთ თქვენი პატივისცემას. ახ, ჩემო წერიკო, ჩემო საყვარეღო შვიღო. თბიღ ზღვას გაღმა ვღარღობღღღთ ჩვენ... ჩავიღღოღა მზე ზღვაში, ამოკიღაფღღებღღღღენ ვარსკეღავები... ესენი კი არა... იქ სხვა ვარსკეღავებიღა... სიყღღემღღენ პაღღმები... მშვენიერი ყვაეიღღები... ესენი კი არა... სხვა, დღღღებუღღი, მზის მსგავსი. თბიღი ქარი ზღაპრებს მოგვიღთხრობღა. ჩვენ ყურს არ ვუგღღებღღთ მას, ჩვენ ვიკტირებღღღთ იქიღთ, საღაც ყვეღაფერი ჩრღღიღღოღთის თოგღღიღთ იყო დაბურუღღი, საღაც ჩვენი საყვარეღი წერიკო დაეტოვეღთ. ეღღინა ყვეღაფერს: მშვიღ ზღვას, ვარსკეღავებს; ყვაეიღღებს. მაგრამ ჩვენ ძიღი არ გვეკარებღღა (გახარებუღღა) ახღა კი ჩვენ გავფრინღღებღღთ განთიღღის ცის კამარაზე. (ევეღღანა შიღწვეენ წეროსაკენ, მისიღ ამიღღ მახიბღღუნა: ჰღიჭღანობღღება, ყვაეიღღები, სოკოები, ობობღღები. ბეღღეღა კუნღღიღ კი უფრო ცხოვეღღად ანათებს, ბაყაყი მწუხარუღ ჰქნევს თავს). ახღა ჩვენ დაეკიყეღღებღღთ ისე, ისე მაგრად დაეკიყეღღებღღთ ცაში მაღღა, რომ ძირს, დღღამიწაზე, ქვები გაიღღეღღებენ და შემოგვებღღავენ. გმაღღობღთ ცაო, რომ, ფრთებიღთ დაგვაჯიღღლოვე ჩვენ.

**ტყის პაპა.** ჩვენ არ გვაქეს ფრთები... ჩვენ... ჩვენ აქ ღავრჩებიღთ თოვღში.

**პეპეღღები.** ჩვენ დაეღღოღღებღღთ გზაფხულს...

**ბაყაყი.** ჩვენ დავიძინებთ სოროებში, ყი-ყი...

**კრიკინები.** (ერთად) რა გულით გვინდა გაფრენა!

**კიკინობელი.** (ემუქრება ნემსით) მე თქვენ გეუბნებით: რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს. გესმით?

**სოკო ბუზიჭერია.** ჩვენ დავილუპებით.

**ტყის პაპა.** რომ ისევ განახლდეთ.

**ბებერი კუნძი** დავიძინებთ სამულამოდ.

**წერო.** არა, არა! სამულამოდ ასე არ იქნება. მე ვიცი, მე მახსოვს... გამიგონია (ვევლანა შიანწევან მისკენ, რომ უკეთ გაიგონონ).

**ტყის პაპა.** რა გავიგონია?

**წერო.** მე ერთხელ ცის სივრცეში, მაღლა გავინავირდე, მზის ქვეშ... დიდი ხანია მას შემდეგ. ახალგაზრდა ვიყავი... და, აჰა... მესმის... ვინ ლაპარაკობდა, არ ვიცი: ცა, თუ ქარი ციური... თუ მზე თავისი სხივებით მეუბნებოდა, არ ვიცი: ასე არ იქნება სამულამოდო, მზე გაათბობს ყველას, აღარ წაევა მზე ზღვებს გაღმა, სამარადისო გაზაფხული დაიმკვიდრებს თქვენ ცივ მხარეშიო.

**ტყის პაპა.** ძალიან კარგი... ჩვენც დავუღლით.

**ბუ.** იპოვა, მოფრინავენ. შემოფრინდენ ბებერ ტვერში. ო-ხო-ხო-ხო-ხო-ო.

(ისმის წკრიადა ხმა—ეურღი-ეურღი)...

**დედა-წერო.** მესმის მისი ხმა. წერიკო, წერიკო!!

**ბუ.** ოხ-ხო-ხო-ხო-ხო-ო.

**მერცხალი.** (შემოფრინდება) აჰა, წერიკოც.

**ახალგ. წერო.** (გახარებული) საყვარელი მშობლები!!

**პატარა წერო.** ძამიკო!!

**ყველა.** გადარჩა, გადარჩა!!

**ახალგ. წერო.** საყვარელო გუნდო! თქვენი ვარ, ისევ თქვენთან ვარ. ოჰ, რა გადავიტანე... საღ ვიყავი... კედლები იყო... ბორკილები... მე დაშეიწყდა... იქ მზე არ იყო...

**ტყის პაპა.** კარგია, კმარა, ხომ დაბრუნდი, უბედურებას ხომ დაახწიე თავი და ფრთები შეინარჩუნე. მოხარული ვარ, რომ არ გიღალატნია ტყეებისა, მინდვრებისა და მზისათვის. სულით და გულით გილოცავ და საყვარულით გისურვებ: გზა მშვიდობისა. გაფრინდით, ყოჩაღებო. საღამო მიუტანეთ მზეს ჩემს მაგივრად, მოხუცი ტყის პაპის საღამო. მე ხომ შეიღლი ვარ მისი... ძე მზისა. მზემ მშობა მიწისაგან და მიწაზე დაეღივარ, მარადის დარაჯად, ბუნებას ვდარაჯობ... ოჰ, საყვარელო ბავშებო, ჩვენ ხომ ყველანი შეიღლები ვართ მზისა. ყველას გვიყვარს იგი...



**ყველანი.** ყველას გვიყვარს მზე.

**ტყის პაპა.** იი, ახლიც, ყოველ წელს, როგორც კი მზე მიიბრუნებს ჩვენგან თავის ნათელ პირს, ყველა ვუმღერებთ გამოსალმების ქებათ-ქებას. დღეს ბუნიაობაა. დღე გზას უთმობს ღამეს, მაგრამ ღამე როდი გვაშინებს—მზე დაგვიბრუნდება. ჰეი, თქვენ, მუსიკოსებო და ყველა ყვავილებო, ხეებო, კუნძებო, ქალარა ხავსებო, ბებერო სოკოებო, ზღარბებო, პეპელებო და ფრთოსნებო, ქაობის ალებო და მოხუცო ქაობო! ყველამ, ყველამ, ვისაც უნახავს მზე, ყველამ ვუმღეროთ მას, უკანასკნელად ვუმღეროთ გამოსალმება, წეროები კი წაუღებენ მას ჩვენს სალამს და უამბობენ ყველაფერს.

**ყველა.** ვუმღეროთ ქებათა-ქება მზეს.

**ბაყაყი.** მეც ვუმღერებ.. ყი-ყი...

**ბებერი კუნძი.** (განათავსს) აბა, მე, მეც ვუმღერებ... (დაიწვება ტყის ჭიშნი, მზას ქებათა-ქება. ის სიმღერაა ტყეების, ჭაობების, მინდვრების. უბუ გამოქაჩება და გადაეფლება მინდვრებს და ტყეს. სვევლას სმუბა ერთმანეთში ირევა. უი-უი, უურდი-უურდი, ხო-ხო-ხო-ხო. ჰაჰა ტყის ეფეხების წკარუნი, ფოთლების შრიალი, ბუბურა ხეების ჭრატუნა, ტყის ნაკადულების რაკაკი. ჭიჭინობლების ჭრინი, სტყენა და წრინი და ტყის ჰაჰას ხარხარი, რომელაღ ვეღა სმუბს წრდილაკს).

### ტყის ჭიშნი მზეს\*).

მზე მიღის, მზე მიღის...

დადგება ზამთარი

შავ-ბნელ ღამეებით,

ყინვებით და ქარით!...

მშვიდობით, ჰე, მზეო,

მშვიდობით, მშვიდობით!

ჩვენ მზის ვართ შვილები,

ჩვენ ეტირით, ჩვენ ვკვნესით!

გვაშინებს ქარბუქის

ხვეწა და ალერსი!

მშვიდობით, ღამაზო,

მშვიდობით, მშვიდობით!

მზეო, საყვარელო!

გვაშორე ჩვენ ქირი!

\*) ეს ლექსი თარგმნილია შ. ტ.—მიერ.



გახსოვდეთ საწყლები,  
მოგტირით, მოგტირით!

ჰე, შუგო, ჰე, შუგო,  
დაბრუნდი, დაბრუნდი!

გვესტუმრე, გაგვათბე.  
მთლად გაყინულები,  
აფრქვეე მიდამოს  
კეკლუცი სხივები!

გაგვათბე, გაგვათბე,  
დაბრუნდი, დაბრუნდი!...

**ტყის პაპა.** ჩემი დღესასწაული გათავდა. შემოდგომა მოვიდა. ვასწიეთ ყველამ თავ-თავის ადგილას.

(დადონებული მიდიან: სოკოები, ზეჟღეხა, თბობები, ვეჯღეხა, ფრინველები, კოწახური და კუნელი, ჭრიჭინა. ჭიჭინაბლები გამწკრივდებან. ღოტბარი ჭიჭინობელი დადგება გვერდზე და აქნევს ნემსს).

**ჭრიჭინები.** წეროებს დავემშვიდობოთ  
დავკრათ დოღს და ქამანჩას,  
გადეფურენდით ჩვენც ტყე-მინდვრებს,  
მაგრამ ფრთები არა გვაქვს!

**ჭიჭინობელი.** ბიჯით იარ... რაზმო, იარ! (მიდიან მანჯორზე).

**ჭრიჭინები.** (დადონებული) წეროებმა ტყე დასტოვეს,  
ციხის ლაყვარდი უსაზღვროა!  
ჩვენი ბინა კი სოროა!..

**ჭიჭინობელი.** (შკაგნად) წასვლის დროა, წასვლის დროა!

**ტყის პაპა.** (წეროებს) თქვენი დროც არის. ხეალ აცივდება.

**წეროები.** მშვიდობით, ჩვენო საყვარელო დიდებულო ტყის პაპა. (მიდიან).

**ტყის პაპა.** მშვიდობით, გაზაფხულამდე.

(ისმას გასაფრენად გამზადებული წეროების გუნდის ძახლი).

**ტყის პაპა.** მიყვარს ამათი მზიარული ძახილი. იფრინეთ, ყოჩაღებო.

**წეროს ხმა.** გავწიოთ მზისაკენ. სარდალს დავემორჩილეთ. ყველანი მზად ხართ?

**წეროების ხმა.** შეს დავეწიოთ. ყველანი მზად ვართ, ყველანი.

(ისმის ფრთების სრიალი, ძახილი: ეურღა-ეურღა. ტუას ზაა იუურება ცისკენ).

**ტუის პაპა.** ოპო, როგორ მალლა აფრინდენ. უსათუოდ დაეწევიან მზეს (ბუზს) რას იტყვი, ბებერო ბაიყუშო, დაეწევიან მზეს... ყველანი?

**ბუ.** ჯერ ვი-ფიქრებ... (ფიქრობს... თვალები სან ზენტება, სან ქრება), ამ გზობად... დაეწევიან... ყველა დაეწევა.

**ტუის პაპა.** ჩვენი ღროც მოვიდა. წავიდეთ, გავიაროთ.

(ხელა მადის ტუეში, ბუ შიშიედ ჩამოდის და შიშიედ მიჭუჭუბა ტუის ზა-ზას ხეებში).

**ბებერი კუნძი.** (გაანათებს) ახლა კი მეც დავიძინებ... (ქრება).

**ბაყაყი.** (გამოახედავს თავისი საფარადან). ყი-ყი... ყი-ყი-ყი-ყი... ყველას სძინავს... პატივცემულო კუნძო. ყველას სძინავს. ყი-ყი... ყი-ყი-ყი-ყი... შეი, ვის არ გძინავს? თეთრო სოკო, შენც წაიქეცი... აჰ! (ამოფარდება ქარა) აბა, ერთს დავიყვირებ უკანასკნელად, ყი-ყი. ერთს კიდევ... ყი-ყი-ყი-ი. ცოტას კიდევ... ყი-ყი-ყი-ყი. (ბებერა, დაზნექილი ფაჭვი ხმაურობით დაეცემა ძირს). ვაი, ყი... (ამალება სოროში).

(ტუიდან გამოარბიან ჭაობის ალები, ფუსფუსით დარბიან, ანათებენ თაიანთ სანათურებით და უუელაფერს ათვალაურებენ. შერე შეხტებიან წაჭეკულ ფაჭვზე.

**ჭაობის ალები.** სძინავთ... ყველას სძინავს... სძინავთ... ბებერი კუნძისაც დაუძინია, ბაყაყისაც სძინავს, სოკოებსაც სძინავთ... ბებერი ფიქვიც წაიქეცა... რა სიწყნარია. ა, რა კარგია! (შეგროვდებათ ერთად და თამაშობენ). სიწყნარია... სიწყნარია... ჩვენ ახლა მარტონი ვართ... და გვიდგა დღესასწაული... ვიხეტიალებთ ტყეებში... მარტონი ვართ... მარტონი.

(ხელ-ხელა გაიბნევიან ტუეში).

(ფარდა).





## ზამთარი.

დაზამთრდა. აცივდა. ქარბუქი ჰქრის ტყეებსა და მინდვრებს. დიდ კასაჭირში ვარდებიან ველური ცხოველები. ბევრი იღუპება კიდევად.

თქვენ უკვე იცით, რომ ბევრი ცხოველი, რომელსაც თბილი სისხლი აქვთ, თბილ ბუნაკებს იკეთებენ და იძინებენ კასაფსულადის. იმ ცხოველებს, რომელნიც ბეწვითა და ბუმბულით არიან შემოსილნი, ბეწვი და ბუმბული ეზრდებათ და უსქელდებათ.

მაგრამ როგორ უძლებენ ზამთრის სუსს ტიტველა, ცივისისხლიანი ცხოველები, მწერები და სხვადასხვა ჭიაღუები.

რასაკვირველია, ისინიც ძილით აღწევენ თავს სიცივეს. არათუ ძილით, — სრულიად მკვდრებს ემსგავსებიან. მაგალითად, ზვლიკები, ბაუაუები, კველები. მაგრამ, გამოიხედავს თუ არა ზაფხულის მსე, ისინი მაშინვე გამოცოცხლდებიან.



ჩაეფლობა ბაუაუი სადმე გუბის ძლამში, სადაც წყალი არ იყინება და გაშემდება, კვკონებათ გაიყინაო, მაგრამ ნამდვილად კი ცოცხალია.

კველები მთელ სროვებად — 15—20 ერთად — შექუჩდებიან

და ჩაწვებიან სადმე ორმოში სის ძირების ქვეშ, ან ბებერი, დამწალი სის კუნძის ქვეშ და გაშეშდებიან.

ხელიკიც შეკურება სადმე სის ან ქვის ნახვდომში, ან ჰა-  
წია ორმოში, და გაქვაუდება.

დიდი ეინკების დროს გველები მკვარ, უსიცოცხლო ჯოხს  
ემსკავსებიან.

ერთხელ ერთი სწავლული ფრანგი, გვარად ოდიუბონი,  
სამთარში სანადიროდ წავიდა და შვილიც თან წაიყვანა. და-  
იღალენ. დახათეს ცეცხლი. ბაჭში წავიდა ფიჩხის მოსატანად,  
გადააბრუნა ჯირკი და ქვეშ გაშეშებული გველი კი ნახა.

სწავლულმა ჩაიღვა გველი ზურგზე წამოკიდებულ ჩან-  
თაში. სის ცეცხლის ჰირას სწავლული და საუზმეს შექცევია.  
ამ დროს იგრძნო, რომ ჩანთაში რაღაცა ინძრევა, გადმოიღო  
ჩანთა და იქიდან გამოცოცხლებული გველი კი გამოძვრა.  
ოდიუბონმა სწრაფად გადისროლა ის ეინულზე. გველი ისევ  
გაიენა და გაშეშდა.

მწერები სამთარს სხვადასხვაგვარად ატარებენ: ზოგი  
კვერცხებში, ზოგი მურებად, ზოგი მოზრდილ მწერებად. ზოგი  
სის ქერქის ქვეშ, ქვის ქვეშ, სხელი ფოთლების გროვაში,  
ყოველგან, სადაც კი შესაძლებელია, რომ ცოტათი მანც  
დაიფარონ თავი სიცივისაგან.

ტყეში თქვენ თოვლის მოსვლის წინ, ძველი დატოვებული  
ფოთლები რომ გაქექოთ, ან ქვები გადააბრუნოთ, აუარებელ  
მწერებს—ხოჭოებს, ბუხებს კრასანებს და სხვა მრავალ ჭი-  
აღას ნახავთ თავმოყრილს.

როდესაც თოვლი დადნება, სინჯეთ, წაიღეთ შინ რამოდე-  
ნიმე მუჭი ფოთოლი, დადევით თბილ ოთახში და კანცერით  
ცხრილში წმინდა ქაღალდზე. ბევრ ნაცნობ ჭიადღას ნახავთ  
ქაღალდზე მოფუსფუსე მწერებს შორის. გასაფხულზე რომ

დააკვირდეთ წუაღდიდობის დროს, უოველ ფოთოლზე, სის ქერქზე, მცენარეთა მარცვლებზე, რომლებიც წუაღს მიაქვს, აუარებელ ჭიაღუსა და მწერს დაინახეთ.

როგორც კი გასაფხულის მზე გაათბობს დედაბიწას, მწერები რამოდენიმე საათში გაცოცხლდებიან, გაისწორებენ ფრთებს, დაიწეებენ ფრენას, ფუსფუსს. მინდვრებშიაც და ტყეებშიაც ბალახებში იხამირებენ მწერები.

უველასე უფრო მოსერსებულ ბინას ზამთრისათვის ობობები იკეთებენ: დაქსელავენ აუარებელ ძაფს, მოთელავენ მტკი-



ცე საბანს და იკეთებენ საღმე სის ქვეშ, ან მიწაში, ან ქვეშს შუა ზატარა ბუნავს, ჩაწეებიან შივ და ქვაუდებთან.

კარგად არიან მოწუობილი ავრეთვე სარაბუსები. ოთხ წელიწადს სარაბუსა მიწაში ატარებს თბილაღ: სამ წელიწადს—როგორც მური—და მეოთხეს კი—ნამდვილ სარაბუსად გადაქცეული.

ჭიანჭველები ჩვენში თითქმის არ იძინებენ და ისევე ფუსფუსებენ, როგორც ზაფხულში. მიწის სიღრმეში ისინი თბი-



ლად გრძობენ თავს; ციუ ქვეუნიებში კი, სადაც დიდხანს იმყოფებიან, იცის, თუ ჭიანჭველას ბუნაგში სიცივე ორ გრადუსამდე აღწევს. მაშინ ჭიანჭველებიც იძინებენ მკვდარივით გაზაფხულის სითბომდის.

ფუტკრის საქმე უკეთ არის მოწყობილი: სკაში 20—25 ათასამდე ფუტკარი ცხოვრობს. ისინი ერთმანეთს ვკვრიან,



ერთად ქუჩდებიან და სკის მუხადგილას თბილად არიან, მაშინ, როდესაც ცარიელ კუთხეებში შეიძლება ეინულიც იეოს. რასაკვირველია, ეს შეიძლება მოხდეს ველური ფუტკრის ცხოვრებაში, შინაური ფუტკრის სკებს კი ზამთრობით ალაგებენ და მშრალ სარდაფში აწეობენ: აქ ფუტკრისათვის ადვილია ზამთრის გადატანა.

## თოვლის ფიფქები

ზამთრის სტუმრებია—ყინვა და თოვლი.

ვასინჯეთ ფიფქები: უმეტესად მათ ნაირ-ნაირი ვარსკვლავების ფორმა აქვთ.

თუ გამადიდებელი შუშა გაქვთ, გახედეთ: გადიდებულს უფრო კარგად დაათვალიერებთ.

თბილ ამინდში ფიფქები ერთმანეთს უერთდება. ზოგჯერ კი ხორხომიშელას წამოპყრის ხოლმე.

როცა მაღლა. ჰაერში ძლიერი ქარია, იგი ჰფანტავს ფიფქებს აქეთ-იქით და არგვალებს. მაღლა შეიძლება ქარი იყოს იმ დროს, როცა დაბლა შშივილი დარია; ამას ადვილად შეამჩნევთ; ღრუბლები ზოგჯერ ძლიერ სწრაფად დაკურავენ, რადგანაც ქარი ამოძრავებს მათ.

ფიფქები ძლიერ ნელა მოდის მიწაზე და ტრიალ-ტრიალით ეცემიან. რა არის ამისი მიზეზი?

დასკერით ქალაღდი წვრილად, ზოგი დაარგვალეთ და საიდანმე ჩამოპყარეთ ქვევით. რგვალდი ქალაღლები უფრო სწრაფად ჩამოსრიაღლებს. ბრტყელი ნაჭრები ტრიალ-ტრიალით წამოვსა ძირს.

მაშასადამე, ფიფქები იმიტომ ცვივა მიწაზე ნელა და თან ტრიაღლებს, რომ მსუბუქიცაა და ამასთან ბრტყელი ფორმაც აქვს.

ხორხომიშელა კი რგვალდია და ამიტომ ცვივა სწრაფად.

რადგანაც ფიფქებს წვრილი წვეროები აქვთ, ვარსკვლავის სბივების მსგავსი, ამიტომ ჩ.მოცვივისას ფიფქები ექთმანეთს ეღებიან და მკიდროდ არა ლავღებიან მიწაზე.

ამ მიზეზის გამო თოვლი მკერივი არაა, ფიფქებს შორის აღღიღები რჩება.

### თოვლი გაცივვისაგან იზარავს მიწას.

რომ ზამთარში არ შეგცივდეს, ჩვენ ბინებს ვათბობთ, თბიღ საციმელში ვეზვივით.

ტანსაციმელი თვით არ იძლევა სითბოს, მაგრამ იგი იჭერს იმ სითბოს, რომელსაც ჩვენი სბეული გამოსცივს.

ამისი მიზეზი რაღაა?



ის ირის, რომ ჩვენი ტანსაცმელის ძაფებს შორის ჰაერია მოთავსებული, რომელიც ჩვენი სხეულის სითბოს არ უშვებს გარეთ; მაშასადამე, რაც უფრო სქელი იქნება საცმელი, მით უფრო მეტი ჰაერი იქნება მის ძაფებს შორის.

ჩვენ ვნახეთ, რომ თოვლის ფიფქებს შორის ბევრია ცარიელი ადგილი, რომელიც ჰაერთაა გამოტენილი. რომ დარწმუნდეთ ამაში, აიღეთ თოვლის გუნდა და წყლიან ქიქაში ჩააგდე; თოვლიდან ზევით ბუმბტები იწყებს დენას, ეს კი ჰაერია.

აი ეს ჰაერი იმ სითბოს, რომელიც მიწას აქვს, არ უშვებს ზევით და აწაირად იფარავს მას გაციებისგან. მაშასადამე, რაც უფრო ფხვიერი იქნება თოვლი, მიწა უფრო ნაკლებ გაცივდება და რაც უფრო მკვრივი, დატკეპნილი იქნება თოვლი, სითბოს ველარ შეირჩენს მიწა და გაცივდება.

ამ მოვლენას ბუნებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიწაზე და მიწაშიც მრავალი ცხოველი იმალება, აგრეთვე მცენარეთა ფესვებიც მიწაშია. მაშასადამე, თუ თოვლი არ მოვიდა და სიცივემ კი მოუმატა, რა მოუვა მცენარეს? ცხადია, გაიყინება სიცივით და გაზაფხულზე ველარ გაიშლება.

ამიტომ ეშინია გლეხს, როცა თოვლი არ მოდის, ან თუ ცოტა მოდის: შემოდგომაზე დათესილი ხორბლეული მიწაში კაიყინება და მისი ცოლ-შვილი ცუდს მდგომარეობაში ჩავარდება.

ამიტომ ეშინია მებაღეს მშრალი ზამთრისა: სიცივე ხეხილს კვირტს გაუყინავს და ნაყოფს აღარ გამოიღებს.

დ. კარბელი.



თოვლის ფიფქები.



განათლების სახალხო კომისარიატის სოსიალური აღზადის მთავარბრა-  
 თველუგის ხალიტაბატურო-სამხატვრო სეპციის ხელმძღვანელტუგის  
 გამოსცემული წიგნები:

1.	„ნორჩი ძალა“—კრებული . . . . .	თითო ცალი	— 15	კაბ.
2.	„კოკროკინა“—დ. დონდუასი . . . . .	„ „	— 10	„
3.	„ბელა-ბეკეკა“ . . . . .	„ „	— 10	„
4.	„შემოდგომა“ ფერადსურათებიანი წიგნი	„ „	— 70	„
5.	„ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა . . . . .	„ „	— 20	„
6.	„ტყის სურათები“—შიო მღვიმელისა.	„ „	— 25	„
7.	„ქიანჭველას საოცარი თავგადასავალი . . . . .	„ „	— 30	„
8.	„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“ . . . . .	„ „	— 2	„
9.	„ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . .	„ „	— 80	„
10.	„ტროადის ომი“—აღ. მიკაბერიძისა.	„ „	— 80	„
11.	„ივანე-არაკნი“—აღ. მირიანაშვილისა.	„ „	— 30	„
12.	„ივანე სულელი“ ზღ. ლ. გოლსტონისა.	„ „	— 15	„
13.	„მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით . . . . .	„ „	1	—
14.	„ოვიდიუსის მეტამორფოზები.“ . . . . .	„ „	— 70	„
15.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით . . . . .	„ „	— 50	„
16.	„უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი.	„ „	— 45	„
17.	„როგორ იცავენ თავს ცხოვ. მტრისაგან.	„ „	— 25	„
18.	„გაზაფხული და ზაფხული“ . . . . .	„ „	— 90	„
19.	„რას გვიამბობს ოთახი . . . . .	„ „	— 20	„
20.	„ზღვის სიმდიდრე“ . . . . .	„ „	— 20	„
21.	„პატარა იაპონელები“ — ფერადი ყლით . . . . .	„ „	— 75	„
22.	„სიზმრად და ცხადად“ . . . . .	„ „	— 30	„
23.	„კოკონთან“—ჩვენი უფროსი ძმები, ახალ- გაზრდა კომკავშირელები . . . . .	„ „	— 10	„
24.	„ლენინის საათი სკოლაში“ . . . . .	„ „	— 50	„
25.	„ტაივის საუნჯენი“ . . . . .	„ „	— 40	„
26.	„კომბლე“—ფერადსურათებიანი წიგნი . . . . .	„ „	— 65	„
27.	„პიონერი სოფლად“ . . . . .	„ „	— 25	„
28.	„საბავშვო ბალი“ ფერადი სურათებით. . . . .	„ „	1	—
29.	„ნორჩ პიონერთა თანამგზავრი“ . . . . .	„ „	— 20	„
30.	„მომღერლები“ . . . . .	„ „	— 10	„
31.	„წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წე- სი“ ი. ჯიშკარიანისა . . . . .	„ „	— 35	„
32.	„თინკოს გამოცანები“—ფერ. სურათებით.	„ „	— 45	„

10070.



1926 წ.

გ ა მ რ ვ ა

უოველთვიური საუმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მკირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XXII წ.

მოზრდილ. „წითელი სხივი“ წელ. მე-III.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	}	„ნაკადული“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით — 2 მან.
	}	„წითელი სხივი“ — ერთი წლით — 5 მან.
		ნახევარი წლით — 3 მან.
ცალკე ნომერი	}	„ნაკადული“ 35 კაპ.
		„წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი — ხარედაქციო კოლეგია.

